№ 176 აგვისტო 25, სამშაბათი

1887

აგვისტო 25, სამშაბათი № 176

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 5

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდიეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 27 აგვისტოს

გაზეთი „ივერია“ პირველის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 57 კ.

ტფილისი, 24 აგვისტო

ერთს წარსულს წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ორი გარემოება ჩვენის გლეხ-კაცობის ცხოვრებისა: პირველი ისა, რომ იგი გლეხ-კაცობა ღონივრად ჩასჭიდებია მამულს, მიწას, სცდილობს რიგიანად გაუძღვეს ყველა იმ ვალდებულებათა, რომელიც ბედმა არგუნა, და მხნედ და მამაცად ეწევა ცხოვრების უღელს; მეორე გარემოება ის არის, რომ ხალხი გრძნობს სწავლა-ცოდნის საჭიროებას, რომ იგი მიიზიდება ისეთ სწავლისაკენ, რომელიც შეჰფერის მის ეკონომიურს და სოციალურს მდგომარეობას.

პირველი გარემოება იგია, რომლისაგანაც წარმოსდგა მეორე, და ორივენი ისე მტკიცედ არიან ერთმანერთზე დამოკიდებულნი, რომ უერთ-მეოროდ ძნელად საფიქრებელნი არიან. ჩვენ ვეცდებით ავუხსნათ მკითხველებს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მათ შორის და რამდენად ძლიერი და საგულისხმოა იგი.

ჩვენი ხალხი უხსოვარ დროიდგან მხვნელ-მთესველი ხალხი ყოფილა, ერთსა და იმავე ადგილზე დაბინავებული და უმთავრესი სახსარი იმის ცხოვრებისა ყოფილა მიწა, მიწის წარმოება; უხვმა, ძლიერმა ბუნებამ ჩვენის ქვეყნისამ მიიზიდა, შეიხორცა ადამიანი, რომელსაც უქადიდა კეთილ-დღეობას, ბედნიერებას. ეს გარემოებაკი დიდის მნიშვნელობისაა, რადგანაც იგი ასულდგმულებდა დედა-ძარღვს ჩვენის ისტორიისას, რადგანაც მანვე აღზარდა ჩვენს ერში ძლიერი ინსტინქტი ბინადრობისა, სიყვარული მიწისა და მამულისადმი, და ეს ხომ უმთავრესი ძალაა წარმატებისა, უმთავრესი სახსარი კულტურისა. ნება გვაქვს ვიფიქროთ, რომ იმ ინსტინქტმა და სიყვარულმა მამულისადმი მოაღწევინა ჩვენს ერს მეცხრამეტე საუკუნემდე, თან არ გააყოლა იგი ერი მრისხანე ზვირთებს ისტორიისას და არ გაანადგურებინა და არ გაასრესინა მძვინვარე მუსულმანთა ურდოთა. იგივე გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ, როცა მოცალეობა მისცემოდა ხალხს, მისი ეკონომიური ძალღონეც წარმატებაში შედიოდა; მაგრამ მომეტებულ ნაწილად და უმთავრესად ჩვენი ისტორია თითქო მოწადინებული იყო არამც თუ ფრთა შეეკვეცა ხალხის წარმატებისათვის, არამედ სრულიად შეეკრა გზა წინ-მსვლელობისა, ბედნიერებისა. იმავ ისტორიამ ჩვენი კულტურული, ეკონომიური ძალ-ღონე სრულიად სხვა ფრივ მოიხმარა, მაგრამ საძირკველი წარმატებისა, ესე იგი, სიყვარული მიწისადმი, ინსტინქტი ბინადრობისა, ეს უმთავრესი სახსარი ბედნიერების მოსაპოვებლად, ვერ შემუსრა, ვერ გამოაცალა ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, ასე რომ მოვაღწიეთ მეცხრამეტე საუკუნემდე, ესე იგი, იმ დრომდე, როცა ჩადგა გრიგალი შემუსვრისა და მასთან ერთად დაწყნარდნენ ზვირთნი ისტორიისანი; რასაკვირველია, ამ გვარს მშვიდობიანს დროს უნდა აღორძინებულიყო ის დედა-ძარღვი ჩვენის ცხოვრებისა.

მართლადაც, ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ დღესაც ჩვენს ერს და განსაკუთრებით გლეხ-კაცობას უმთავრესს სახსრად ცხოვრებისა მიაჩნია მიწა. ეგეთი შეხედულობა მიწის დანიშნულებაზე ერთად-ერთი სამართლიანი შეხედულობაა, და ამიტომაც მას მხარი უნდა მივცეთ. ყველასათვის ცხადია, თუ რამდენად მაგრადა სდგას გლეხი კაცი მიწაზედ, ყველას შენიშნული გვაქვს, რომ ჩვენი გლეხი თუ დასტოვებს მიწას, მიწის-მოქმედებას, —მხოლოდ დროებით, მხოლოდ იმ აზრით და განზრახვით, რომ თუ რამე მოიპოვა, ისევ იმავ დედა-მიწას და ოჯახობას მოანდომოს. მართლადაც, იშვიათია იმის მაგალითი, რომ გლეხ-კაცმა სრულიად დაანებოს თავი და მოშორდეს მიწას, შესწყვიტოს მასთან კავშირი, სადმე სამუდამოდ გადაიხვეწოს, —და ამ იშვიათის მაგალითის მიზეზი იმოდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ მასთან შებრძოლება სწორედ რომ შეუძლებელი უნდა ყოფილიყოს.

ერთის სიტყვით, მიწათ-მოქმედება წარსულშიაც და ეხლაც ყოფილა და არის დედა-სახსარი ჩვენის ცხოვრებისა და სხვა ყოველგვარი მოქმედება ზედ-ნადები ყოფილა და პირველის შესაწევარი.

იყო დრო, როდესაც მამა-პაპათა წესით შემუშავებული მიწა აკმაყოფილებდა ყოველ გვარს მოთხოვნილებას ჩვენის ხალხისას. ამის მიზეზი ის იყო, რომ მიწაც საკმაოდ მოიპოვებოდა, ადამიანთა მოთხოვნილებათა რაოდენობაც ნაკლები იყო. ეხლა-კი, როცა ცხოვრებამ ფერი იცვალა, ესე იგი როცა ხალხისა და იმის მოთხოვნილებათა რაოდენობა თან და თან მატულობს, საჭიროა მიწათ-მოქმედებას ზედ დაერთოს შესაფერი სწავლა-ცოდნა, რათა ამ საშუალებით კიდევ უფრო ვამოქმედოთ მიწა და ვისარგებლოთ იმის სიუხვით და სიმდიდრით. უამისოდ ცხოვრება ჰარმონიულად ვერ იწარმოებს და მაშასადამე ეკონომიურს და სხვა გვარს წარმატებას გზა შეეკვრება; მიწა, ეს მკვიდრი საძირკველი კაცთა ბედნიერებისა, იქცევა მძიმე ტვირთად, რომლის მოშორებას ეცდება ადამიანი, და ეს ხომ ნამდვილი უბედურებაა.

ა. ნა—ლი

სწორედ რომ ახირებულს, თან სასაცილო და თან სამწუხარო მდგომარეობაში მოიქცა ბოლგარიის საქმე. სახელმწიფოთა შორის დღემდის განუწყვეტელი მიწერ-მოწერა და ბაასია იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება დაასრულონ ბოლგარიის საქმე და რა ზომა უნდა იხმარონ ბოლგარიის მეთაურთა და პრინცის ფერდინანდის ასალაგმავად. მაგრამ საქმით-კი არა სჩანს-რა, თუ რას მოიმოქმედებს ევროპა ბერლინის ტრაქტატის დასაცველად, თუმცა უკანასკნელი დეპეშები გვაცნობებდნენ, ვითომ ოსმალეთს მიეღოს რუსეთის წინადადება და ვითომ გერმანიაც მოწადინებული იყოს რუსეთს ხელი მოუმართოს. ჯერ-ჯერობით ეს ხმა მხოლოდ ხმად რჩება და ვინ იცის, მოჰყვება მას საქმიანი სახსარი ბოლგართა ბედის გადასაწყვეტად, თუ არა.

დღემდის საქმე უფრო ნათლად წარმოგვიდგებოდა, ვიდრე ეხლა, რადგანაც ვიცოდით, თუ რომელი სახელმწიფო როგორ უყურებს ბოლგარიის საქმეს და რუსეთის დიპლომატიას. ვიცოდით, რომ ავსტრია, იტალია და ინგლისი იყვნენ მომხრენი ბოლგარიისა და პრინცის ფერდინანდისა, რომ რუსეთი და საფრანგეთი მოქმედებდნენ თანახმად ბოლგარიის საქმეში და იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგს პოლიტიკას მისდევდნენ. მხოლოდ ბისმარკის განზრახვა იყო ძნელი გამოსაცნობი. ბისმარკი ბრძანებდა, ვითომ გერმანიას არავითარი ინტერესი არა აქვს ბალკანის ნახევარ კუნძულზე, და თუ რა აზრისა იყო ბისმარკი ბოლგარიის შესახებ, დაბეჯითებით არავინ იცოდა. ცხადი იყო, რომ ბისმარკი დაჰყურებდა ევროპის პოლიტიკას და განზრახვა ჰქონდა ბო-

ფელეტონი

ჩვენებურ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა საჭიროებანი.

წელს „ივერიის“ მე-68 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი ბ-ნის ი. კახელისა ჩვენებურ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა შესახებ. ამ წერილის საბაბი იყო ჩვენი წერილები, რომელიც გაზ. „ივერიაშივე“ დავბეჭდეთ. *)

წერილი ი. კახელისა სწორედ საყურადღებოა ყველასათვის, ვისაც-კი აფიქრებს ჩვენებურ ამხანაგობათა ავი და კარგი. ჩვენ გვეგონა, რომ ამ საგანზედ ბ-ნს ი. კახელს უჩვენოდაც პასუხს გასცემდა ვინმე ჩვენებურ ამხანაგობათა კეთილის-მოსურნეთაგანი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ხმაც არავინ ამოიღო...

ბ-ნი ი. კახელი ამბობს თავის წერილში, რომ პეტერბურგის კომიტეტს შეცდომაში შეუყვანივართ მეც და ჩვენი მკითხველი საზოგადოებაცა, რადგან ზოგიერთი ჩვენებური გადაცვლილი ამხანაგობანი ცოცხალთა შორის მოუხსენებიაო. „სიმართლის აღსადგენად“ ბ-ნი ი. კახელი მოგვითხრობს ამბავს კარდანეხის ამხანაგობის აღყვავებისასა და უდროვოდ გარდაცვალებისას. აი სწორედ ეს ამბავი არის ღირს-შესანიშნავი და საყურადღებო და ღირს კიდეც, რომ კარგად დავუკვირდეთ და ავწონ-დავწონოთ. მადლობის ღირსია ბ-ნი ი. კახელი ამ ამბის მოთხრობისათვის, და სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მის მაგალითს არავინ მიჰბაძა და არ გამოაქვეყნა მიზეზნი სხვა ამხანაგობათა აღყვავებისა და ან უკუღმართად მსვლელობისა. შარშან ჩვენ დავბეჭდეთ რამდენიმე წერილი პეტერბურგის კომიტეტის მეათე ანგარიშის გამო, იმ იმედით, რომ ვინც ჩვენებურ ამხანაგობათა ვითარება იცოდა, იტყოდა რასმე. მაგრამ შარშან ერთსაც არავის, თითონ ბ-ნს ი. კახელსაც-კი, არ დაუძრავს კრინტი, თუნდა იმავე „სიმართლის აღსადგენად“ მაინცა, რადგან შარშანაც მომქმედ ამხანაგობათა შორის იყო მოხსენებული კარდანეხის მიძინებული ამხანაგობა. ვიმეორებთ, მისაბაძავი მაგალითია, რომ ბ-ნმა ი. კახელმა ხმა ამოიღო. ჩვენც მოხარულნი ვართ, რომ ჩვენმა წერილებმა ამ ერთს კაცს მაინც ამოაღებინეს ხმა და ამის გამო ერთხელ კიდევ მოგვეცა მიზეზი ვისაუბროთ ისეთს საგანზედ, რომელიც ჩვენებურ სასოფლო ამხანაგობათა ვითარებასა და ბედ-იღბალს შეეხება.

მოგვიყვანთ კარდანეხის ამხანაგობის სამწუხარო ამბავს თითონ ბ-ნ ი. კახელის სიტყვით.

> სოფ. კარდანეხის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა დაარსდა 1879 წელსა. პირველ ორს წელიწადს იგი მართლა და საგანგებოდ სწარმოებდა და არა ერთს და ორს სოფლის ჭამიას ამოსდო პირში ალვირი... საუბედუროდ, ამ გვარი წარმატება დიდ-ხნოვანი არ გამოდგა და მალე იწყო უკუ-ქცევა. უმთავრესი მიზეზი უკუ-მსვლელობისა ის იყო, რომ წესდებას გადავიდნენ. ორს წელიწადში მოტრიალებულ საწევრო ფულიდამ, რომელიც ექვსას თუმნამდე ავიდა, წევრებმა, წესდების წინააღმდეგ, ერთი-ორად და სამად მეტი გაიტანეს სესხად, ვიდრე ეკუთვნოდათ. თვით ამხანაგობის მმართველებმაც წესდებისავე წინააღმდეგ გამოზიდეს ფული და ამ გვარად ერთხელ სწორე გზის გადახვევამ მოუსპო სამუდამოდ ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას სიცოცხლე.

რასაკვირველია, ბ-ნი ი. კახელი არა სწერს კარდანეხის ამხანაგობის ისტორიას. სამწუხაროდ, იმას უნდა დაამტკიცოს მხოლოდ ის, რომ კარდანეხი'ს ამხანაგობა მომქმედ-ამხანაგობათა რიცხვში ჩასარევი არ არის, რადგან აღარ მოქმედობსო. ამის დასამტკიცებლად საკმაოდ დაწერილებით მოგვითხრობს ამხანაგობის ამბავს. ხოლო მეისტორიესათვის-კი საჭიროა გამოკვლევა თითონ ზემორე მოხსენებულ გარემოებათა მიზეზებისა, განმარტნა, სახელდობრ, რა იყო მიზეზი, რომ წესდება დაარღვიეს, სესხი გაჰქონდათ არა იმდენი, რაც ერგებოდათ, არამედ იმაზედ „ერთი-ორად და სამად მეტი“. იქნება ესე ყოველივე შედეგია ადგილობრივის ცხოვრების ვითარებისა და მიუცილებელ მოთხოვნილებათა, და მაშინ ხომ ეს გარემოება პატივ-საცემია ისე, როგორც თითონ ცხოვრება, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ამხანაგობა და რომლის შესაბამადაც უნდა იყოს შედგენილი მისი წესდებაცა. წინააღმდეგს შემთხვევაში ფუჭია ყოველივე წესდება და დაწესებულება იმიტომ, რომ ცხოვრება არც ერთსა და არც მეორეს არ შეიწყნარებს, არ მიითვისებს, შეჰმუსრავს... ან იქნება ამხანაგობის საქმეთა არევ-დარევის მიზეზი ორიოდე კაცი (გამგეობა) იყო იმითი, რომ თვით-მნებელობით იქცეოდა და პირად-სარგებლობას მისდევდა... ვიმეორებთ, რომ ამხანაგობის მეისტორიესათვის საჭიროა ყოველისავე ამის ფხიზლად გამოკვლევა... მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ბ-ნის ი. კახელის ნაამბობს:

> ამ ოთხის წლის წინად ამხანაგობის დამაარსებელი და თავ-მჯდომარე ბევრსა ცდილობდა, კვლავ გაეცოცხლებინა ამხანაგობა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ახლაც არავინ მიეკარა.

ეს-კი სწორედ სასიამოვნო ამბავია: ამხანაგობას ერთი კაცი მაინც შერჩენია უანგარო და ქვეყნის გულ-შემატკივარი, რომელიც „ბევრსა ცდილა“ მაინც ამხანაგობის აღდგენისათვის, და თუ მისს ცდას ნაყოფი ვერ გამოუღია, ეს ნუ გაგიკვირდებათ: ცდასთან ერთად საჭიროა ცოდნაც, და ეს-კი ჩვენში ჯერ ხომ ძვირი სტუმარია... მაგრამ კიდევ ბ-ნს ი. კახელს დავუგდოთ ყური:

> 1883 წელს თვითონ მე მიმიწვია ამხანაგობის დამაარსებელმა და მთხოვა, ამხანაგობის აწეწილ-დაწეწილი საქმე რიგზედ მომეყვანა.

ჰხედავთ, რა სასიამოვნო სურათია! თვალ-წინ გვეხატება ნაღვლიანი, მაგრამ ლმობიერი და გულ-კეთილობით სავსე სახე პატივცემულის თავ-მჯდომარისა, რომელიც თავის ულონობას საქვეყნოდ აცხადებს და მუდარით იპატიჟებს

მკურნალსა და მაჯისა შემატყობარსა,

რუსთაველისა არ იყოს. შრომა და ცდა არ იკმარა თავ-მჯდომარემ, ახლა თავ-მოყვარეობასაც ითრგუნავს, ოღონდ-კი უშველოს რამე ქვეყნის დამხმარე დაწესებულებას... მისაბაძავი მაგალითია!.. მაგრამ ყოველ ამ სიამოვნებას გვაშხამებს თითონ მკურნალის შემდეგი სიტყვები:

> თუმცა ყველა (მაინც?!) რიგზედ მოვიყვანე, ვთხოვეთ კიდეც მაზრის უფროსს შემწეობა აღმოეჩინა ამ საქმეში, მაგრამ

---

*) იხ. „ივერია“ №№ 40 და 42.

ლგარიის საქმეში ჩარეოდა ისეთს დროს, როცა უფრო მომეტებულად სასარგებლოდ სცნობდა გერმანიისათვის.

მართლადაც, აღმოჩნდა თუ არა, როგორ განაწილდნენ სახელმწიფოები, მაშინვე გაისმა ხმა, რომ გერმანია ბოლგარიის საქმეში რუსეთის მხარეს დაიჭერსო, და ამ ხმამ, რასაკვირველია, კიდევ უფრო გააძნელა ბოლგარიის საქმე.

თავის საქციელით ბისმარკმა გააძნელა არა მარტო ბოლგარიის საქმე, არამედ სახელმწიფოთა დას-დასად დანაწილებაც, არივ-დარივა. თუ დღემდის აშკარა იყო, ვინ ვის მიემხრობოდა, ეხლა-კი ძნელად გამოსაცნობია, თუ როგორ იმოქმედებს თვითოეული სახელმწიფო. თუ ბისმარკმა მართლა ხელი მოუმართა რუსეთს, არავინ იცის, რა გზას დაადგებიან საფრანგეთი და ავსტრია.

მწერლობას ჩვეულებად აქვს ბისმარკის ყოველს მოქმედებაში ეძიოს ხრიკი და მანქანება და არა გულ-წრფელი განზრახვა საყოველთაო ინტერესების დასაცველად. როცა ბისმარკი რამე საქმეს ხელს მოჰკიდებს, ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ბისმარკს მხედველობაში მხოლოდ გერმანიის ინტერესები აქვსო. ეს ჩვეულება იმოდენად ძლიერია, რომ ჩვენც ვერ ვუღალატებთ მას და ამიტომაც იმავ ბისმარკის საქციელს გავარჩევთ.

თავიდგანვე ბისმარკისათვის ცხადი იყო, რომ საფრანგეთი რუსეთის მხარეს დაიჭერდა და ამით დიდად დაავალებდა რუსეთს, რომელიც, რასაკვირველია, ვითარცა ძრიელი და ერთგული მეგობარი, დიდს სამსახურს გაუწევდა საფრანგეთს, და რა გვარი იქმნებოდა ეგ სამსახური, ეს ბისმარკმა კარგად იცოდა. რასაკვირველია, ბისმარკს შეეძლო თავდაპირველადვე მიმხრობოდა რუსეთს, მაგრამ ელოდებოდა იმ დროს, როდესაც რუსეთისათვის იმისი მომხრეობა უფრო ძვირფასი იქნებოდა. ასე იქცეოდა ბისმარკი, რათა კიდევ უფრო დაევალებინა რუსეთი სამერმისოდ. რისთვის მოექცა ამგვარად ბისმარკი ბოლგარიის და პრინცს ფერდინანდს? მხოლოდ იმისთვის, რომ გერმანიის ინტერესებისათვის ემსხვერპლნა იგინი.

თუ მართლა გერმანია რუსეთს მიემხრო, მაშინ საფრანგეთისა და ავსტრიის მდგომარეობა მეტად საძნელო იქმნება. საფრანგეთმა მაშინ ხელ-ახლავ უნდა ეძიოს მომხრე; ავსტრია-კი ვერას გზით ვერ მოურიგდება იმასა, რომ რუსეთმა გაიმარჯვოს ბალკანის ნახევარ-კუნძულზე. ერთის სიტყვით, საქმე ისე გაძნელებულია და დახლართული, რომ კაცმა არ იცის, რითი დაბოლოვდება დიპლომატიური მიწერ-მოწერა და ბაასი.

აი, ამ ჟამად რა მდგომარეობაშია იგი საქმე. ყველანი ამბობენ, რომ თანახმანი არა ვართ ფერდინანდის საქციელისა, რადგანაც ეწინააღმდეგება ბერლინის ტრაქტატსაო. ამას ამბობენ იმისთვის, რომ შეუძლებელია საქვეყნოდ აღიარონ, სურვილი გვაქვს დავარღვიოთ ბერლინის ტრაქტატი, რომელზედაც ხელი გვიწერიაო. საქმით-კი არავინ არაფერს მოქმედებს დარღვეულ ხელ-შეკრულობის აღსადგენად. სულთანს, ვითარცა უმაღლესს მბრძანებელს ბოლგარიისას, ეუბნებიან, შენი საქმეა ბოლგარიის საქმე კანონიერად აწარმოვოო, მაგრამ სულთანი სამართლიანად ეუბნება: ვერ ჩავერევი რადგანაც მაგ საქმეში მხოლოდ სახელია ჩემი და სახრავი-კი სხვებისაო. ამასთან ევროპას კარგად ესმის, რომ ოსმალეთის საქმით ჩარევა ბოლგარიის საქმეში არც სასურველია და არც მოსახერხებელია... ერთის რომელისამე სახელმწიფოს ჩარევას ბოლგარიის საქმეში ევროპა არ შეიწყნარებს და მთელმა ევროპამ-კი შეუძლებელია ძალ-მომრეობა მიიტანოს ბოლგარიაზე...

ა. ს—ი

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 23-ს მარიამობისთვეს, ვერაზე მთელი გროვა ხალხისა დაჰყვებოდა ერთ თათარს, რომელსაც ტილოში გამოხვეული ყუთი ეკიდა ზურგზე. თათარი გაჩერდა, გახსნა ყუთი და ამოიყვანა ერთის ადლის სიგძე გველი და რამდენიმე პატარ-პატარა გველის წიწილები, რომელნიც საზარლად იხლაკნებოდნენ. თათარმა ამოიღო ჯიბიდგან ერთი ნაჭერი შაქარი. შეულოცა და მისცა ერთ ვერაზე მცხოვრებ ახალგაზრდა მუშას, სახელად ვანოს და უთხრა მედიდურად: „შეჭამე; მე შეგილოცავ და გველი ველარ გიკბენსო.“

მერე ააყვანინა გველის წიწილები და ჩაასმევინა უბეებში. ხალხს შეეზარა და უთხრეს ქართველს: „ნუ სჩადიხარო“, მაგრამ მან არ დაიშალა. მერე ააყვანინა ადლიანი გველი და უთხრა, ჩაისვი უბეშიო. ქართველი შეყოყმანდა და იუარა. მაშინ გამოართვა თათარმა, მიუშვირა სახეზე და რაღაც დაუთათრულა. გველმა გაიწოდა კისერი დააფრინდა ქართველს ცხვირზე და გაუყარა კბილები. თათარმა კიდევ რაღაცა უთხრა და გველმა გაუშვა პირი ადამიანის ცხვირს, საიდგანაც თქრიალით წამოვიდა სისხლი. „აფერუმ, ვაჟკაცი ყოფილხარო“, უთხრა თათარმა და ჩაამწყვდია ყუთში გველები. მნახველები შეჰზარა ამ სანახაობამ, რამდენსამე მანდილოსანს გული შეუღონდა, და თათარმა-კი ფულები ჩამოითხოვა ამ ვითომდა სასიამოვნო სანახაობისათვის.

⁂ წლევანდელ წვიმიან ამინდების გამო კახეთში თურმე ღვინის მოსავალს არ უჩანს საიმედო პირი. თითქმის იქაც იგივე ავადმყოფობა გაჩენია ვაზსა, რაიცა ასე უწყალოდ აფუჭებს ვენახებს ქსნის ხეობაში. ჩვენი კორრესპონდენტი იწერება, რომ ყურძენი დღე-დღეზე ინაცრება, ჰკნება, ლპება და შემდეგ მტევანი თავისთავად იმარცვლება; თითონ ვაზსაც ფოთოლი ეშუშებაო. ურიგო არ იქნება, რომ სამეურნეო საზოგადოებამ გაგზავნოს მცოდნე კაცები როგორც ქართლისკენ, აგრეთვე კახეთისაკენაც, რათა შეძლებისამებრ ჩქარა გამოიკვლიონ, რა ავადმყოფობაა ესა.

⁂ ეს ერთი კვირაა, რაც კახეთში კარგი ამინდი დაუდგათ მეკალოვეთ. ამ ამინდს ესწრაფება ხალხი და მთელის ოჯახობით დღე და ღამ სულ კალოში ტრიალებენ, ჰშლიან ძნას, ლეწვენ, ანიავებენ და აქეთ გაცხარებული მუშაობა, რომ ჩქარა გაათავონ ზაფხულის საქმე.

⁂ მარიამობა დღეს ქუთაისში ორპირის ქუჩაზე, «სლობოდკის» ბოლოს. მოგზაური დაინახავდა მინდორში დაგდებულ მკვდარს. გარშემოეხვია პოლიციის მოხელენი და სხვა მრავალი მაყურებელი. როგორც ამბობენ, ეს მკვლელობა უცაბედად მომხდარიყო. ღამის თევა ყოფილიყო და თურმე ლხინობდნენ იმ მინდორზე. ერთს კარგად ჩალეულს კაცს, ქ—შვილს, დაეცალა რევოლვერი. ტყვია შემთხვევით მოჰხვედროდა ერთს იქ მყოფთაგანს შიგ გულში და მოეკლა. ქ—შვილი ძლიერ უარზე დგას, მაგრამ თექვსმეტი კაცი მოწამე აჩვენებს მის წინააღმდეგ.

⁂ გიმნაზიის გამქურდველები და ლიმბერგერის ცოლის გამცარცველები დაჭერილნი არიან. ჯერ-კი არც ერთი მათგანი არ გამოტეხილა. ამბობენკი, ვითომ პოლიციას და გამომძიებელს ეჭვი არა ჰქონდეთ, რომ სწორედ ამათი საქმეა ხსენებული ავაზაკობაო.

⁂ წიფასა და ქვიშხეთს შუა გვირაბის თავზე 21 აგვისტოს თურმე გაემგზავრა ერთი იტალიელი დღის 12 საათზე. უეცრად ტყიდგან გამოხტა სამი ავაზაკი. მგზავრს აჩვენეს თოფები და ხანჯლები და თანვე უთხრეს: მოიტა ფული, თორემ მოგკლავთო. შეშინებულმაც იტალიელმა ამოიღო ქისა და გადუგდო, აი ჩემი ფული სულ ეს არისო. მცარცველებმა ნახეს ქისაში მარტო ხუთი მანეთი. ამას არ დასჯერდნენ და ვერცხლის საათიც წაართვეს. გაცარცული იტალიელი თავის გზაზედ წავიდა. ნახევარ საათის შემდეგ იმავ გზაზედ მოდიოდა მეორე იტალიელი. მცარცვავებმა იმასაც ის დღე დააყენეს, როგორც პირველს: ამანაც ამოიღო რაც ებადა და მისცა. ცოტა ხნის შემდეგ მოდის იმავე გზით ორი საწყალი იმერელი მუშა-კაცი. მცარცველები ამათაც თავისებურად შეჰხვდნენ. შეშინებულმა მუშებმა მისცეს უკანასკნელი 17 მანათი.

იმ დღეს ამითი გათავდა საქმეო, ამბობს ჩვენი კორრესპონდენტი, მაგრამ რადგანაც ამ ადგილს მოაწყდა მრავალი უსაქმური ხალხი, საშიშოა, რომ უფრო მძიმე ავაზაკობის მოწამენი და მსხვერპლნი არ გახდნენ აქაურები. ამიტომ საჭიროა დროზედ მონახონ შესაფერი ღონის-ძიება, ვისგანაც ჯერ არსო.

⁂ აგერ იქნება შვიდი დღე, რაც სურამის მხარე შიშს ქვეშ ჩავარდა იმის გამო, რომ ცხინვალში ურიები დახოცეს. ამ ყაჩაღებმა ეხლა ამოუყვეს თავი სურამს და სოფელს ალსა. ერთ-ერთს მათგანს სურამში დაუწყვია მათხოვრობა, ვითომ დამწვარია და მოწყალებასა თხოულობს. დაუთვალიერებია შეძლებულთა სახლები და შეუტყვია, ვინ სადა სდგას. სურამელებს ეს ამბავი გაუგიათ, რის გამოც ყაჩაღებს საქმე ვერ მოსვლიათ დუშაშში და სურამიდგან წასულან ალში. 22 აგვისტოს, დილის თერთმეტ საათზედ, თოფის ორის ტყვიით დაუჭრიათ მომავალი რაჭველი, ალიდგან სამის ვერსტის სიშორეზედ, ულუმბის წყალთან; წაურთმევიათ მისთვის 37 მანათი ფული და წასულან. ამა-

---

ყველმა ცდამ, რომ კვლავ გაგვეცოცხლებინა ამხანაგობა, ამაოდ ჩაგვიარა, რადგან არც ერთმა მოვალე წევრმა ახლოს არ გაგვიტარა...

ახლა-კი განცვიფრებისაგან აღარ ვიცით რა ვსთქვათ!.. უნდა მოგახსენოთ, რომ არამც თუ ერთის, ათის ამხანაგობის გაცარცვაც-კი არაფრად მისაჩნევია ამ ამბავთან შედარებით. უფრო მეტსაც მოგახსენებთ: ამ ამბის აყოლას შეუძლიან თუნდა მთელის ჩვენის ქვეყნის ამხანაგობანი გაგვაუქმებინოს და ახალ ამხანაგობათა გამართვის აზრიც-კი მოსპოს... და ძირიანად ამოფხვრას... რომ გადაჭარბებით არ მოვახსენებთ, მკითხველი თითონ დარწმუნდება ცოტა ქვევით.

იქიდამ, რასაც ბ-ნი ი. კახელი ამბობს, ორში ერთი უნდა დავასკვნათ უეჭველად.

1) ან ბ-ნს ი. კახელს არ შეუძლებია მკურნალობა და, სიტყვაზედ მოგახსენებთ, თავი ძალად გაუექიმებია — აქაო და მიმიწვიეს, მაშ ექიმი ვყოფილვარო; ან და, თუ შესძლებია ექიმობა, მაინც ვერ მოქცეულა წესიერად, რადგან არ უხმარია ყოველი ღონის-ძიება ავადმყოფის მოსარჩენად; ხოლო რედაქცია და მკითხველი საზოგადოება-კი შეცდომაში შეუყვანია ლიტონის სიტყვით: **„ყველა რიგზედ მოვიყვანეთ და ყოველი ღონის-ძიება მივიღეთო“**...

2) ანა და, ბ-ნი ი. კახელი საქმის ცოდნით, დაუზარებლად და თავ-გამოდებით ყველაფერს ეცადა, რაც-კი შესაძლო იყო, მაგრამ თუ ვერას გახდა, ეს არის თითონ გამხსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის ბრალი, რადგან იგი ამხანაგობა არის დაწესებულება ყოვლად უსაფუძვლო და ყველასაგან ადვილად გასაქელავი; ერთის სიტყვით, დაწესებულება-კი არა, მასხარობაა, თქვენ თითონ განსაჯეთ, მკითხველო! ვსთქვათ, მე გახლავართ დღეს გამგე ერთ-ერთის ამხანაგობისა; მაბარია, ვსთქვათ, ექვსასი თუმანი, როგორც კარდანეხის ამხანაგობაში ყოფილა; ეს ფული მე ჩემს ნებაზედ „გავზიდე“, როგორც ბ-ნი ი. კახელი ამბობს კარდანეხის ამხანაგობის გამგეებზედ, და მიეფლანგ-მოეფლანგე, როგორც მნებავდა; ერთის სიტყვით, მთელი ამხანაგობის საქმეები სულ ყირამალა გადავატრიალე. ამით, რასაკვირველია, საქმეს ვავნე. მაშინ მოიწვიეს ვინმე ისეთივე უნაკლულოდ მცოდნე თავის საქმისა და ქვეყნისათვის გულშემატკივარი, როგორადაც წარმოდგენილი გვყავს ამ შემთხვევაში ბ-ნი ი. კახელი, და ასეთმა კაცმა ყოველივე ღონე იხმარა საქმის წალმა მოსაბრუნებლად, მაგრამ-კი არა გამოვიდა-რა: აქლემმა რწყილი ჰშობა. გამოვიდა, რომ ვერც მე და ვერც ერთის ამხანაგობის მოვალეთაგანს თითიც ვერ დაგვაკარეს... დარჩნენ სახტად მოწვეულიც და უფრო მეტად მომწვევიცა!! მიბრძანეთ ახლა, ღვთის გულისათვის, თუ მართლა ასეა, ყოფილა, თუ არა, ეს რაღაც სასოფლო ამხანაგობაა, მასხარობა!? არა, ერთი მიბრძანეთ, რომელი გიჟი-ღა იქნება, რომ ასეთი დაწესებულება დაარსოს, ან რომელ მომაკვდავს არ აუცრუვდება გული, როცა წარმოიდგენს, რომ ამხანაგობის სახლიდამ ფულის გაზიდვა შეიძლება და თუ მერე არ გადიხადე, არავითარს პასუხის-გებაში არ მიეცემი.

აბა, ახლა ყოველ ამის შემდეგ რომელ ერთს დასკვნას უნდა დავეფუძნოთ: დავიჯეროთ, რომ ბ-ნმა ი. კახელმა მართლაც ყოველივე ღონე იხმარა ამხანაგობის აღსადგენად, მაგრამ თითონ ამხანაგობას არ შესწევდა სიცოცხლის ძალი? თუ, პირიქით, ამხანაგობას ძალ-ღონე არ აკლია სიცოცხლისათვის, მაგრამ ბ-ნმა ი. კახელმა ვერ მიმართა იმ საშუალებათა და ვერ ამოქმედა ის ძარღვნი, რომელნიც აცოცხლებენ ამხანაგობას? ჩვენ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია ეს უკანასკნელი დასკვნა და აი რათა: ბ-ნი ი. კახელი მიიწვიეს მიძინებულის ამხანაგობის გასაღვიძებლად. იმას უნდა პირველად გაეგო მიზეზი ამხანაგობის მიძინებისა და მერე ეწამლა საქმისათვის. ჩვენის აზრით, მიზეზი კარდანეხის ამხანაგობის მიძინებისა უნდა ყოფილიყო ორ-გვარი: გარეგანი და შინაგანი. გარეგანს მიზეზს ჩვენ ვეძახით ამხანაგობის გამგეთა მხრით თვით-მნებელობას და მათგან წესდების აბუჩად აგდებას; შინაგანი მიზეზი ამხანაგობის შეფერხებისა დავარქვით იმ გარემოებას, როცა ამხანაგობის წესდება ისეა დაწერილი და შედგენილი, რომ ადგილობრივ ცხოვრებისათვის არ შეუფერებიათ, არ შეუთანხმებიათ. პირველ შემთხვევაში საჭირო იყო, რომ ბ-ნი ი. კახელი როგორც გამგეობას, აგრეთვე ამხანაგობის მოვალე წევრთა მოჰქცეოდა იმოდენად მკაცრად, რამოდენადაც კანონი, ე. ი. წესდება ამხანაგობისა ამის ნებას აძლევდა. გაგონილა და ქმნილა? ვისაც წესდებით 60 მანათი შეეძლო გაეტანა, იმან 180 მანათი გაიტანაო. ეს, რასაკვირველია, წესდების უარ-ყოფაა, და წესდების უარ-ყოფა-კი, სანამ იგი წესდება კანონით არ არის შეცვლილი, მავნებელი და მომაკვდინებელი საქმეა ამხანაგობისა, მეტადრე მაშინ, როცა ეგ უარ-ყოფა, დარღვევა წესდებისა ცხოვრების განსაკუთრებულის ვითარების გამო არ არის გამოწვეული. მაგრამ ამ შემთხვევაში ამხანაგობის შემაფერხებელი ყოფილა უფრო ის გარემოება, რომ ფული, ბევრი იყო თუ ცოტა, გაუზიდნიათ და უკან-კი აღარ შემოუზიდნიათ.

ვიმეორებთ, რომ ბ-ნი ი. კახელი უნდა აღჭურვილიყო წესდების სიფიცხითა და უნდა გაენაღდებინა ის თამასუქები, რომლებზედაც ასე ოხუნჯობს:

„იმის მოწმად, რომ ოდესმე კარდანეხში ამხანაგობა არსებობდა, მხოლოდ ჩრჩილისაგან შეჭმული დავთარვექსილები-ღაა დარჩენილი“.

სწორედ მაგ თქვენგან მასხარად აგდებულს დავთარ-ვექსილებს, ბ-ნო ი. კახელო, თუ-კი ისინი მართლა დავთრები და ვექსილებია და არა ნახევი ქაღალდები, დღესაც, სანამ მათ ჯერ ათი წელიწადი არ შესრულებიათ, შეუძლიანთ, რომ კარდანეხის მიძინებული და არა მიცვლილი, როგორც თქვენა სწერთ, ამხანაგობა კვლავ გააღვიძოს და აამოქმედოს. დიაღ, ის თამასუქები თქვენგან მოხსენებულს თავნს, ექვსას თუმანს, თავის სარგებლიანად, თუ ერთად არა, წვრილ-წვრილად მაინც უეჭველად შეაგროვებს ერთიან, და მორჩა და გათავდა: ამხანაგობა ხელ-ახლად მოქმედებას დაიწყებს და გამოცდილებით ჭკუა-ნასწავლი უფრო ფრთხილად და წესიერად გაასესხებს ფულებს...

ბ-ნი კახელი სწერს, რომ მოვალეებმა ახლოც არ გაგვიტარესო. როგორ თუ ახლოსაც არ გაგიტარეს, ბატონო!? სთხოვდით რასმე! სწორედ ტყუილად შეგიწუხებიათ თავი მუდარით, როდესაც შეგეძლოთ გებრძანებინათ. ან მაზრის უფროსს რა შემწეობის აღმოჩენასა სთხოვდით? წესდებაში ხომ მაზრის უფროსების ხსენებაც-კი არსად არის! იქა სწერია: გლეხთათვის მამასახლისი, კეთილშობილთათვის პოლიციის ბოქაული. ესენი-კი პასუხის-გებაში მიეცემიან, თუ ამხანაგობის მოთხოვნილება შვიდის დღის განმავლობაში არ შეასრულეს. თუ ამათ არაფრად ჩააგდეს, მაშინ უნდა პირდაპირ გუბერნატორს მოახსენოთ ოფიციალურად ესეთი გარემოება. თუმცა არ არის საფიქრებელი, მაგრამ რომ მოხდეს და გუბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე დღეს საღამოს ხუთს საათზედ ჭერათხემის დუქნებთან მოუკლავთ თოფით ორი ქალი. ერთისათვის შუბლში მოურტყავთ ტყვია და მეორისათვის მუცელში, მოუტაცნიათ ხურჯინი და წასულან. ქალებთან მომავალი მათი პატრონი კაცები ტყეში გადავარდნილან. ამ შემაძრწუნებელმა და თავზარ დამცემმა ამბავმა იმისთანა შთაბეჭდილება იქონია სოფლის ხალხზედ, რომ შიშით არ იციან, რა ჰქნან. როგორც კაცები, ისე ქალები დღისითაც-კი ჰკეტავენ კარებებსა.

⁂ სიღნაღის მაზრიდამ: აგერ ცამეტი წელიწადია, რაც სოფ. მალაროში გაირღვა კედელი ფერის-ცვალების ეკკლესიისა და ამის გამო ადგილობრივი მღვდელი იძულებული იყო სამღვთო წესები აესრულებინა კერძო ეკკლესიაში, რომელიც ისე პატარა არის, რომ ოცი მსმენელი ძლივს მოთავსდება შიგა. ხსენებულის მღვდლის თაოსნობით როგორც ხალხმა, ისე სამღვდელო პირთ ხელი მოაწერეს შეწირულობის სიასა, და იმდენი ფული შესდგა, რომ წელს ეკკლესია დამთავრდება, და ხალხს ექნება ადგილი, რომ მოისმინოს წირვა-ლოცვა.

იმავ სოფელ მალაროს ძალიან ცოტა წყალი აქვს და მალაროელები შეწუხებულნი არიან ამის გამო. დღეს ხალხმა გამოიღო ფული, რათა მცოდნე კაცებმა თავი-თავს მოუყარონ პატარ-პატარა წყაროებს და ამით გამართონ ესრედ წოდებულს კარდიახზე ისეთი წყარო, რომ ადვილად აკმაყოფილებდეს ხალხის საჭიროებას წყლისას.

ერთი თვალ-საჩინო ნაკლი კიდევა აქვს ამ სოფელს: აქამდის ვერ გააკეთეს საკუთარი შენობა სკოლისათვის. ეხლა იმედი აქვთ, რომ ხსენებული მღვდელი აქაც არ დაიზარებს მოთაოსნობას და უხელ-მძღვანელებს ხალხს, რომ ამ მრავალს მოსწავლე შვილებს ერთი რიგიანი და მკვიდრი სახლი გაუკეთონ და სამადლოდ არა ჰყვანდეთ თავიანთი შვილები სხვის სახლში.

⁂ 23 აგვისტოს, მე-6 ნაწილში, დაირჩნენ მტკვარში ბანაობის დროს თავიანთ გაუფრთხილებლობისა გამო ტფილისის მოქალაქე სტეფანე ამიროვი და სოფელ ნარსის მცხოვრებელი ნახჩევნის თემისა ხერატურა ცატუროვი. გვამნი მათნი ჯერ არ უპოვნიათ.

წერილი ქუთაისიდამ

დადგება თუ არა ენკენისთთვე, შეიქნება ტირილი მამებისა და მშობლებისა; დაიწყება ჩვეულებრივი ჩივილი: აი ჩემი შვილი ჩაიჭრა; ჩემი ძმის-წული არ მიიღეს წლოვანობის გამო; ჩემი შვილი თუმცა მიიღეს, მაგრამ ან ტანისამოსის, ე. ი. ფორმის ფული, ან სწავლებისათვის გადასახადი ფული სად ვიშოვნო, როგორ დავაკმაყოფილო სამოსწავლო უთვალი მოთხოვნილებათ.

აქაურის გიმნაზიის მთავრობამ კარგად შეიგნო და დიდი ყურადღებაც მიაქცია იმას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ქუთათურნი მოსწავლენი. მართლადაც, საარაკო სიღარიბესა და სიღატაკეში არიან აქ მოსწავლე ყმაწვილები. ამოვწეროთ ამის შესახებ ერთი ადგილი იმ ანგარიშიდგან, რომელიც წარმოადგინა ბ. სტოიანოვმა, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა: „სიღატაკე მოწაფეთა,—თუმცა აქ არსებობს ორი ქველმოქმედი საზოგადოება, რომელთა დანიშნულებაა ამ მოწაფეთა დახმარება, და თუმცა თვით პედაგოგიური რჩევაც ეხმარება მოწაფეთ ფულით,—არის ერთი შეუვალი დაბრკოლებათაგანი მოწაფეთა სადგურების გამართვისათვის. მოწაფეთა უმრავლესობას მოსდის სახლიდგან ცოტაოდენი სიმინდის ფქვილი, ღვინო და ორი თუ სამი მანეთი ფული დანარჩენ ხარჯისათვის. ამის გამო ცხოვრებან ისეთს ვიწრო, ბინძურ და ცივ სადგურებში, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ვერც ერთს მოთხოვნილებას ჰიგიენისას და სხვ... ამ ნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან თითქმის ყველა მოწაფენი, სოფლებიდგან ჩამოსულნი. რასაკვირველია, ცხრა მეათედი იმ მოსწავლეთა ვერ ასრულებს სწავლას; ამიტომაც მგონი, ურიგო არ იქნება დაახლოვებით მაინც აღვნიშნოთ ქუთათურ მოწაფეთა რაოდენობა:

აქაურს ერთად-ერთ კლასიკურ გიმნაზიაში ითვლება თითქმის 550-მდე მოწაფე; პროგიმნაზიაში—200-დე მოწაფე; სააზნაურო სკოლაში — 350-დე; სასულიერო სასწავლებელში—400-დე; საქალაქო სასწავლებელში — 300-დე; საქალაქო პირველ დაწყებითს სასწავლებელში—100-დე. აქ არ ვიხსენიებ არც დედათა სასწავლებლებს, არც სამრევლო საეკკლესიო პირველ-დაწყებით სკოლებს და არც სხვა მრავალ კერძო სასწავლებლებს.

როგორც ჰხედავს მკითხველი, მაინც საკმაო რიცხვი გამოდის მოსწავლეთა, ასე რომ ათ მცხოვრებზე ქუთაისში ერთი მოსწავლე ვაჟა მაინც მოდის. ნებ გვაქვს ვიკითხოთ: აუდის ამდენი სასწავლებელი მთელს გუბერნიას, თუ არა? ამ საკითხავის პასუხად მივუბრუნდეთ ბ-ნ სტოიანოვის ანგარიშს. სტოიანოვი ბრძანებს, რომ მსურველთა უმრავლესობა $18^{83}/_{84}$ სამოსწავლო წელში არ იქნა ჩვენ გიმნაზიაში მიღებული იმისთვის-კი არა, რომ ვაკანსიები არა გვქონოდეს, არამედ იმისთვის, რომ შეგირდები საკმაოდ მომზადებულნი არ იყვნენ.

რა ვქნათ, როგორ მოვამზადოთ ეს ჩვენი შვილები? ყველას ხომ არ შეუძლიან სამის წლის განმავლობაში მარტო მომზადებისათვის სამას-სამასი მანათი იხადოს. მოსამზადებელი კლასები მხოლოდ სათავად-აზნაურო სკოლასა აქვს. ამ სასწავლებელში მხოლოდ ორმოცი ვაკანსია იცლება წლიურად. დღემდის იყო გიმნაზიაში ორი მოსამზადებელი განყოფილება... მაინცა და მაინც საჭიროა, რაც შეიძლება მეტ ყმაწვილებს მივცეთ საშუალება იმდენად მოემზადონ, რომ შეეძლოთ საშუალო სწავლის მიღება და უმაღლესისაც. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, დიდის სამსახურის გაწევა შეუძლიან სააზნაურო სკოლას, მაგრამ იგი ხომ ყველას ვერ აუვა. იმ სკოლის ეხლანდელ დროებით ზედამხედველ ბ-ნ ჯორჯიკიას აზრადა აქვს გახსნას სკოლასთან გასწვრივნი განყოფილებანი მოსამზადებელ კლასებისა. ჩვენის აზრით, იმ განყოფილებათა შესანახავად ჩვენი თავად-აზნაურები, რომელთაც სურვილი აქვთ შვილები აღზარდონ, იკისრებენ გადასახადს წლიურად, ოღონდ რიგიანად იქმნენ მათი შვილები მომზადებულნი და გიმნაზიის კარი არ დახშოთ.

სწავლისადმი წყურვილის დასაკმაყოფილებლად მეტად ცუდი სახსარია ჩვენი სიღატაკე, მაგრამ, ვთქვათ, ამასაც თავი შემოუაროთ, დიდის ვაი - ვაგლახით, წვალებით და უბედურებით (ეხლა სიღარიბის მოწმობა ხომ აღარ გამოგვადგება? პირ-იქით, საჭიროა იმის მოწმობა, რომ საკმაო შეძლება გვაქვს შვილის აღზრდისათვის). აბა, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, ათმა დაასრულა გიმნაზია. მაგრამ რა მოელით ამათ? აი იგი საკითხავი, რომელიც დიდი ხანია ცხოვრებამ წამოაყენა. რისთვის ვსწავლობთ? განა მხოლოდ იმისთვის, რომ დავსტკბეთ მეცნიერების სიტკბოებით? ეს ხომ მხოლოდ ცოტათა ხვედრია!.. უმეტესობა-კი იმისთვის ეტანება სწავლას, რომ ცხოვრების ნამდვილი სახსარი მოიპოვოს. ხშირად შევხვდებით ხოლმე იმის მაგალითს, რომ სწავლა-ცოდნით აღჭურვილი ადამიანი ზოგჯერ მეტ-ვაცად ითვლება, შესაფერად ვერ ეწევა ცხოვრების უღელს, თავისი სწავლა-ცოდნა ვერ გამოუყენებია რიგიანად... ამის მიზეზი ისიკი არ არის, რომ ან სწავლა საჭირო არ იყოს, ან და სწავლულთა რიცხვი გარდამეტებული იყოს, არამედ ისა, რომ ჩვენის მდგომარეობის შესაფერს სწავლა-ცოდნას მოკლებულნი ვართ.

ჩვენს ცხოვრებას, ისტორიას ჩვენთვის უჩვენებია გზა, რომლითაც უნდა ვმსვლელობდეთ. ჩვენ ისევ ჩვენ მიწას უნდა მივუბრუნდეთ,—ამ უხვს, მდიდარს და მოუღლელს მიწას. ჩვენის ქვეყნის მომადლებული ბუნება, უხვი მიწა და თან დროთა ვითარება გვეუბნება: აღიჭურვეთ შესაფერის სწავლა-ცოდნით და მხოლოდ მაშინ გაგიწევთ დედ-მამობას, მაშინ აგაცდენთ მწარე ხვედრს... მართლა, ეხლა ისეთი დროა, რომ პური და სიმინდი, ისიც ძველებურად მოყვანილი, ვერ გაგვიტანს. ხელი უნდა მოვკიდოთ, მაგალითად, ბამბის მოყვანას, აბრეშუმისას, სელისას, კანაფისას, ჩინეთის ჭინჭარისა, თამბაქოსას, ღვინოს კეთება კარგად შევისწავლოთ. ამიტომაც საჭიროა ყოველ წელიწადს ათიოდე ყმაწვილი მაინც გავგზავნოთ კარგად მოვლილ ქვეყნებში ორი-სამის წლის ვადით, სპეციალურ სამეურნეო სწავლის შესაძენად. იგინი მუშაობასაც შეისწავლიან და ცხოვრებასაც; აქაც საჭიროა შესაფერი სასწავლებლები გავმართოთ... აქ დაწვრილებით არ შევუდგები ჩემის აზრის განმარტებას, მხოლოდ ერთის სიტყვით უნდა ვთქვა, რომ მიწაა ჩვენი მხსნელი, უმთავრესი ძალა ჩვენის ეკონომიურის წარმატებისა.

გურგენ

ქართულ სახალხო პოეზიის მოყვარეთა მიმართ.

წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ გარდასწყვიტა დაბეჭდოს თავის ხარჯით სახალხო ლექსთა ვრცელი კრებული. თუ ამ სურვილს ღირსა განხორციელება, უეჭველია ჩვენი სამშობლო ლიტერატურა არა-მცირე განძს შეიძენს. დარწმუნებული ვარ, ყველა ნამდვილ ქართველისათვის ეს ამბავი ძლიერ სასიამოვნო იქნება და, თუ საჭიროება მოითხოვს, არავინ არ დაზოგავს ხსენებულს გამგეობას მცირედი შემწეობა აღმოუჩინოს.

ცხადია, გამგეობას გარეშე პირთა დახმარება ძლიერ საჭიროა: ყველა ლექსე-

---

ნატორმაც არ მოგაქციოთ ყურადღება, მაშინ უნდა სთხოვოთ შინაგან საქმეთა მინისტრს. ასე გახლავთ, თუ საჭიროა ვალში მოძრავის ქონების გასყიდვ. ხოლო მოვალე წევრთა უძრავის ქონების გასყიდვა წესდებით ეს ერთი წელიწადია აღარ ეხელ-ეწიფება პოლიციას. პოლიციის სინაცვლოდ ეს საქმე ექვემდებარება სასამართლოს (съ требованіемъ о продажѣ недвижимаго имущества должника обращаться въ установленныя судебныя учрежденія).

ასე ყოველივე საჭიროა ვიცოდეთ, თორემ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არც გუბერნატორისა და არც, მით უმეტეს, მინისტრის შეწუხება საჭირო არ იქნება: ყველას მამასახლისი და ბოქაული შეასრულებს ყოვლად დაუბრკოლებლივ.

ასეა, ჩემო ბატონო. ფულის გასესხებას თან შეზრდილი და შეხორცებული აქვს აზრი ვალის გადახდისაცა. უამისოდ სესხს გასესხება-კი არა, გაჩუქებას ეძახიან. კარდანეხის ამხანაგობის ვექსილების განაღდებით და ახალის, უფრო რიგიანის გამგეობის დანიშვნით მოსპობილი იქნებოდა ზემორე მოხსენებული გარეგანი მიზეზი ამხანაგობის შეფერხებისა. ხოლო ამის შემდეგ უნდა შესდგომოდით მეორე საქმეს: ამხანაგობის წესდება, თუ საჭირო იყო, ადგილობრივის ცხოვრების მოთხოვნილებისა და ვითარებისათვის უნდა შეგეფარდებინათ, შეგეთანხმებინათ; ბევრის აწონ-დაწონისა და გამოკითხვის შემდეგ უნდა შეგეცვალათ ზოგიერთი მუხლი წესდებისა და დასაბუთებული მოხსენება ამ საგნის თაობაზედ წარგედგინათ დასამტკიცებლად..

—

რაც შეეხება გურჯაანისა და ყვარლის ამხანაგობათა, განა გასაკვირველი არის, თუ იმათაც კარდანეხის ამხანაგობის მაგალითი დაიხვიეს ხელზედ!?. ბ-ნი ი. კახელი-კი გურჯაანის ამხანაგობაზედაც თავისებურად ოხუნჯობს: „იმის ოდესმე არსებობის ნიშნად მხოლოდ გაყვითლებული დავთარ-ვექსილები-ღა დარჩენილაო“. ამხანაგობათა კომიტეტის პეტერბურგელ განყოფილებას კი ისინიც, როგორც კარდანეხის ამხანაგობა, მოქმედ ამხანაგობათა რიცხვში მოუქცევია, რადგან ოფიციალურად მათი დახურვა არ გამოცხადებულა. ბ-ნს ი. კახელს ეს დიდ შეცდომად მიაჩნია. ჩვენ-კი მოვახსენებთ ბ-ნს ი. კახელს, რომ „განყოფილება“ სრულიად სამართლიანად და გონივრულად იქცევა, როცა მიძინებულ ამხანაგობათა ერთბაშად სამარეში არა ჰყრის,—რადგან ერთი ისა, რომ მძინარის დამარხვა საცოდაობაა, მეორეც ისა, რომ „განყოფილებას“ არ ეხელ-ეწიფება ამხანაგობათა გაუქმება და იგი მოგახსენებთ იესოს სიტყვებს: „აცადეთ მკვდართა დამარხვად მკვდარნი თვისნიო“, ე. ი. თითონ ამხანაგობამ უნდა გამოაცხადოს, რომ მივიცვალეო. ამას თითონვე ბრძანებს ბ-ნი ი. კახელი: უეჭველია, კომიტეტმა ოფიციალურად არ იცის კარდენახის ამხანაგობის გაუქმება და ამიტომ ისე იხსენიებს, თითქო დღესაც არსებობდესო. ამას ზედ დაურთობს კიდევ შემდეგსა: მაგრამ განა სიკვდილის ნიშანი არ არის, რომ ექვსის წლის განმავლობაში არავითარი ანგარიში ანუ სხვა ცნობა არ მიუღია კომიტეტს, თუმცა ყოველ-წლივ-კი თხოულობს ანგარიშსაო?.. სწორედ არ გახლავს, ბატონო, სიკვდილის ნიშანი ანგარიშის გაუგზავნელობა კომიტეტში. დიაღ, ამხანაგობას შეუძლიან იმოქმედოს მართებლობისაგან დამტკიცებულის წესდებით და ისე გაჯიუტდეს, რომ თუნდ ექვს წელიწადს ერთხელაც არ გაუგზავნოს ანგარიში კომიტეტს. რასაკვირველია, არ არის მოსაწონარი ასეთი ქცევა ამხანაგობისა, პირ-იქით, გასაკიცხავიც არის, როგორც დარღვევა წესდების ერთის მუხლისა, მაგრამ ასე-კი გახლავთ. გერმანიაში, როგორც მოგახსენებენ, ას ამხანაგობიდამ მესამედი თურმე სწორედ ამ რიგად ჯიუტობს, მაგრამ იქ ამ გვარ ამხანაგობაზედ-კი არავინ ამბობს, რომ მოისპო, აღარ არსებობსო.

თავის წერილს ბ-ნი ი. კახელი ასე ათავებს:

> ურიგო არ იქნება, ვინც უფრო კარგად იცის ჩვენში ამხანაგობათა ვითარება, მკითხველ საზოგადოებას უამბოს და ნამდვილი ამბავი შეატყობინოს ჩვენს ამხანაგობათა ვითარებაზედ, თორემ ჩვენგან შორს მყოფი გამსესხებელ-შემნახველ და სამრეწველო ამხანაგობათა კომიტეტი საქმის ნამდვილ ცოდნაზედაც შორსა(?) ყოფილა.

ეგ ძლიერ ცოტაც და ერთობ გამოურკვევლადაც არის ნათქვამი. როგორ თუ „ვინც უფრო კარგად იცის ჩვენში ამხანაგობათა ვითარება, ურიგო არ იქნება მკითხველს საზოგადოებას ნამდვილი ამბავი შეატყობინოს ჩვენს ამხანაგობათა ვითარებაზედაო!“ განა ამხანაგობათა ვითარება მარტივი რაიმე ამბავია, ან არაკი, გინდ ზღაპარი, რომ ერთმა რომელმამე სხვებზედ უფრო დაწვრილებით იცოდეს, ადგეს და თავიდამ ბოლომდის ჩაარაკრაკოს?! განა თვითეულს ამხანაგობას თავისი საკუთარი გარემოებანი არ არტყია, თავისი საკუთარი ისტორია არა აქვს, რომელსაც წამ-და-უწუმ უნდა ვეკითხებოდეთ, როცა ამხანაგობის ავსა და კარგს ვიძიებთ?! სხვები, პეტერბურგის კომიტეტი არის, თუ მოსკოვისა, დაშორებულნი-კი არა, ძლიერ დაახლოვებულნიც რომ იყვნენ ჩვენზედ და იცოდნენ ჩვენი ამბავი, ეს ჩვენთვის არა კმარა. ჩვენთვის მიუცილებლად საჭიროა გამოკვლევა ჩვენებურ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა ავისა და კარგისა, უნდა დაწვრილებით აიწეროს მოქმედება თვითეულ ამხანაგობისა, მისი წარმატება, თუ შეფერხება, ავი თუ კარგი, და გამოკვლეულ იქნას მიზეზები ერთისაცა და მეორისაცა. მაგრამ კერძო კაცისათვის ეს შეუძლებელია, ამ შემთხვევაში საჭიროა შეერთებული ძალა და ძმური მოქმედება განსაზღვრულის პროგრამით.

ამ მოაზრებულ მოქმედებას, უეჭველია, ზედ მოჰყვება შეცვლა ამხანაგობის ზოგიერთთა მუხლთა ჩვენის ცხოვრების და ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება თუ არ მოსპობს, დიდად შეამცირებს მაინც წესდების წარა-მარა უარ-ყოფას და თვითმნებელობას გამგეობის მხრით...

ამ აზრს დაადგა ამ ბოლოს ხანს პეტერბურგელი განყოფილება გამსესხებელ-შემნახველ და სამრეწველო ამხანაგობათა კომიტეტისა და ჟურნალით 6 თებერვალს 1886 წლისა დაადგინა: „ეთხოვოს განყოფილების თავ-მჯდომარეს, რომ მან აღმოირჩიოს ერთი ან ორი მცოდნე პირი და, თუ გამოსადეგი იქნება, დაავალოს მათ ჩამოვლა და რევიზია ამხანაგობითა“. ამ ჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს განყოფილების მიერ დაბეჭდილი თხზულება, *) რომელიც ნაყოფია ზემორე მოყვანილის გადაწყვეტილებისა და ფრიად საყურადღებოც არის ჩვენთვის, როგორც სახელმძღვანელო ამხანაგობათა მოქმედების გამოკვლევისათვის.

ნარი

---

*) „Опытъ статистическаго изслѣдованія о дѣятельности ссудо-сберегательныхъ товариществъ. Товарищество Больше-Токмакское и Ново-Васильевское, Бердянскаго уѣзда, Таврической губерніи, сост. Н. О. Осиповъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ხომ გამგეობას ხელში არ ექმნება და მათი შეკრება კიდევ ისეთი ადვილი საქმე არ არის, რომ მხოლოდ თვით შეიძლოს მისი აღსრულება.

რადგან გამგეობამ სახალხო ლექსების შეკრება და მათი რიგზედ მოყვანა მე მომანდო, ამიტომ მივმართავ ყველას, ვისაც-კი მცირედად მაინც ძალ-უძს დახმარება და მხოლოდ ლიტონის სიტყვით არ უყვარს ჩვენი საზოგადო საქმე, და ვსთხოვ შემწეობის ხელი გამოგვიწოდონ და საქმის დაგვირგვინება შეგვაძლებინონ.

ჩვენთვის საჭირო შემწეობა იმაში მდგომარეობს, რომ სახალხო ლექსები გამოგვიგზავნონ. ლექსთა რაოდენობას და ღირსებაზედ ნურავინ ნუ დაბრკოლდება; თუნდა ერთიც იყოს, მაინც მისი გამოგზავნა არ უნდა ითაკილონ: ყველამ თითო რომ გამოგზავნოს, ბევრი შეგროვდება, და რა ღირსებისაც უნდა იყოს, მაინც ჩვენის ცხოვრების რომელსამე მხარეს ჰმოწმობს. ვიმეორებ, ერთი ლექსია იქმნება თუ ბევრი, კარგი იქმნება თუ ავი—ყველას ერთ ნაირის სიხარულით მივიღებთ და ყველა გამომგზავნელს ერთ ნაირად დავუმადლებთ.

ჩემის თხოვნის შესრულებისა მით უფრო იმედი მაქვს, რომ მე ამ საქმეს ისე არა ვკისრულობ, როგორც კერძო პირი, არამედ როგორც „საზოგადოებისაგან“ დავალებული, გამგეობის წევრი. რაც უნდა იყოს, კერძო პირს სხვაგანაც და ჩვენშიაც ნაკლები ნდობა და პატივი აქვს.

ვინც მოიწადინებს ხალხის პირითგან გაგებულ ლექსების ჩაწერას, საჭიროა ყურადღება მიაქციოს შემდეგ გარემოებათ:

ა) ენა ანუ კილო ლექსისა ხელ-შეუკარებელი, უცვლელი უნდა დარჩეს; არც ერთი სიტყვა, არც ერთის სიტყვის დაბოლოვება, არც ერთი გამოთქმა არ უნდა შეიცვალოს. უნდა უფველთვის გვახსოვდეს, რომ უპირველესად არსებობს ხალხის ენა და მხოლოდ შემდეგ ჩაიწერება ხოლმე გრამატიკაში რომელიმე კანონი. ხშირად ხდება, რომ ხალხური გამოთქმა ცოტათი ეწინააღმდეგება გრამატიკის კანონს. ამის მაგალითები, რასაკვირველია, საზოგადოდ ქართულ ენაში და კერძოდ ქართულ სახალხო ლექსებშიაც მოიპოვება. ეს არ არის დიდი ცოდვა და არც დიდად საკვირველია. ის-კი ცოდვა იქმნება, რომ შეცვლილსა და კერძო პირისაგან გადასწორებულს და დამახინჯებულს ლექსს ვუწოდოთ „სახალხური“ და ისე არ ჩავწეროთ, იმ სახით არ გამოვაქვეყნოთ იგი, როგორც თვით ხალხი ამბობს, რასაკვირველია, უკიდურესს შემთხვევათა გარდა.

ბ) ადგილობრივი ტერმინები, ისტორიული და გეოგრაფიული სახელები უეჭველად განმარტებულნი უნდა იყვნენ, რადგან კრებული ყველასათვის იბეჭდება და ყველა ქართველს-კი ზედ-მიწევნით არ ესმის ყოფა-ვითარების გამო განშორებულის თავის მოძმის სიტყვები.

მოიმედენი ვიქნებით, რომ ჩვენს მიმართვას პატივს დასდებენ არა მარტო ქართლ-კახეთის და იმერეთის მკვიდრნი, არამედ გურულნი, მეგრელნი, სვანნი, ფშავნი და ხევსურნიც. თქმა არ უნდა, რომ დიდი დანაშაულობა იქმნება, ქართული სახალხო ლექსთა კრებული დაიბეჭდოს და ამ კრებულში ქართველ ერის ყველა შტოდგან სანიმუშოდ მაინც არ შევიდეს თითო-ოროლა ლექსი.

მომავალ პირველ იანვრიდგან მაინც ბეჭდვას დავიწყობთ; ამ დროის განმავლობაში ყველა მოასწრობს ლექსების შეკრებას და გამოგზავნას; ბევრს შეკრებილიც ექმნება, რასაკვირველია.

გამოგზავნილს მივიღებთ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კანცელარიაში, რომლის ადრესი არის: სასახლის ქუჩა, სარაჯოვის სახლი.

ალ. მირიანაშვილი

ტფილისი

— 1 იანვრიდგან 1 ივნისამდე ამა წლისა, „Вѣстникъ Финансовъ“-ის სიტყვით, სახელმწიფო შემოსავალი იყო 261.711,322 მანათი. შარშანდელ იმავ ხუთის თთვის შემოსავალს გადააჭარბა 21.197,256 მანათით. შემოსავლის მომატებასთან ერთად უკლია გასავალს 4.663,695 მანათითა. ყაირათიანობა თითქმის განსაკუთრებით დასტყობია მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის ხარჯსა.

— გაზეთ. „Московскія Вѣдомости“ ამბობს: უმაღლესს მთავრობასა აქვს განზრახვა, რომ დაწესებული შეღავათი, რომელსაც მთავრობა აძლევს ახალად დასახლებულებს, ესრედ წოდებულ კოლონისტებს, მიწით, ტყითა თუ ხარჯის შემცირებით, ეს შეღავათი უნდა მიეცეს მხოლოდ გარდასახლებულს რუსსა. რაიცა შეეხება სხვა მოდგმის ახალ-შენებს, ამათ არ ექნებათ უფლება, რომ შეადგინონ განცალკევებული თემობა, არამედ უნდა მიწერილ იქმნან უახლოესს რუსულს თემსა, ანუ საზოგადოებაზედ.

— ჟურნალი „Русская Мысль“-ი აცხადებს, რომ მომავალის წლიდამ ხსენებული ჟურნალი ეღირება მხოლოდ 12 მანათი გაგზავნითა და მოტანით. აქამდის ღირდა 17 მანათი, ხოლო სოფლის მასწავლებლებსა, სტუდენტებს და მოსწავლეთ ეთმობოდათ თითო თუმნად. რადგანაც სხვებიც ბევრნი თხოულობენო, ამბობს რედაქცია, რომ თითო თუმნად დაეუთმოთ ჟურნალი, და რადგან ძნელია ვიცოდეთ, თუ რამდენად აძლევს სიღარიბე უმრავლესობას ამ დათმობის უფლებასა, ამიტომ დღეის იქით აღარავის დაეთმობა დაკლებულის ფასით და რა-კი ეხლა ჟურნალსა ჰყავს 10,000 ხელის მომწერი, შეგვიძლიან ძირს დავწიოთ ფასი და საყოველთაოდ გავხადოთ 12 მანათად წელიწადში. ჟურნალი იმოდენავე იქნება, რაც ეხლა, და თანამშრომელნიც იგინივე დარჩებიანო.

წვრილი ამბები

— ინგლისის ექიმს ჩუტ-ყვავილათი ავადმყოფის სტოლზედ ერთი წიგნი უნახავს, ის წიგნი, რომელიც რამდენისამე ხნის წინად მეორე ჩუტ-ყვავილათი ავადმყოფის სწერია ხელში. გამოუძიებიათ და აღმოჩენილა, რომ პირველი ავადმყოფი მაშინვე დასნეულებულა ჩუტ-ყვავილათი, რა-კი წიგნი მიუციათ. ინგლისის სამკურნალო ჟურნალი ამბობს ამ გარემოებაზედ, რომ კარგი იქმნებოდა გადამდებ სნეულებით ავადმყოფები იმ დრომდე არ უბრუნებდნენ საავადმყოფოს წიგნთ-საცავს წიგნსა, ვიდრე სრულიად არ მორჩებიანო.

— სიცილიის სხვა-და-სხვა ადგილებში ხოლერა მძვინვარებს, ხალხი აღელვებულია, დამფრთხალი და ასე წარმოიდგინეთ, ექიმები და აფთიაქის პატრონებიც-კი თავს ანებებენ ქალაქს და იხიზნებიან ხოლერის შიშით. მაგალითერ, იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ ცნობებიდამ სჩანს, რომ კატანიიდგან 18 ექიმი და 10 აფთიაქის პატრონი გაქცეულა ხოლერის გამო, ადრონიდგან—4 ექიმი და 4 აფთიაქის პატრონი, პატერნოდგან—3 ექიმი, 2 დოსტაქარი და 4 აფთიაქის პატრონი, და სხ. ყველა ეს გაქცეული და გარდახვეწილი ექიმები და აფთიაქის პატრონები პასუხის-გებაში არიან მიცემულნი. სიცილიის მკვიდრნი საშინლად აღელვებულნი არიან; ისე სასო-წარკვეთილნი არიან მცხოვრებელნი, რომ ლამის ჭკუიდგან აიტაცნენ და შეიშალნენ. ყოველ მხრიდგან ცნობები მოდის, რომ აქა-დაიქ ცეცხლი გაჩნდა, კაცი-მკვლელობა მოხდა, ერთმანერთი დასჩრეს ხოლერის შიშითაო. ლიკოდიასა, ეგბესა და ლეონფორტეში ხალხი დარწმუნებით ამბობს, რომ ეს ხოლერა მთავრობის მიერ არის შემოჩენილი ჩვენდა გასაწყალებლად და აღმოსაფხვრელად, და ვერაფრით ვერ გადაუჯერებიათ ამ ასირებულ აზრისაგან. „მთავრობის მოხელეები ჰსინჯავდნენ სახლებსა და მცხოვრებელთ, ექიმები გამოგზავნეს, წამლები ამოავსეს, სამკურნალოები გაჰმართეს. რად უნდოდათ ყველა ეს, როცა ავად არავინ იყო? რა თქმა უნდა, იმიტომ-რომ ხოლერა გავავრცელებინათ და ამოვგვწყვიტნეთო“. მცხოვრებელთა ამისთანავე მოსაზრებით აიხსნება ის გარემოება, რომ ღამ-ღამე გამოდიან თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი და ცეცხლს უკიდებენ დროებით გამართულ სამკურნალოებს, ავადმყოფებს ცემებით ჰხოცავენ, თუ ეს საბრალო ავადმყოფნი ცეცხლისაგან გადარჩენას მოიწადინებენ. ამ ადგილებში ჯარსაც-კი ვერ დაუმშვიდებია მცხოვრებელნი, ისე არიან აღელვებულნი. ამ მიზეზით კატანიასა და კალტაჯირონში დიდ-ძალი გლეხკაცობა დაპატიმრებულია და ქალაქებში შიშიანობის წესები გამოცხადებული.

გასართობი

ტაიტის კუნძულზე, რომელიც საფრანგეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება, საფრანგეთის სასამართლომ უნდა განიხილოს ცოლ-ქმრობის გაყრის საჩივარი მეფე პომარე V-სა, დედოფალ პომარე მე-IV-მემკვიდრისა (ტაიტის კუნძულზე მეფესაცა და დედოფალსაც პომარეს ეძახიან). მეფე პომარე მე-V-ს სიყვარულით დაუჭერია ჯვარი იონნა მარან სალმონზე; ხოლო, საუბედუროდ, მეფეს, ცოლს გარდა, ცხარე სასმელებიც ძალიან უყვარდა და ბახუსის დიდი თაყვანის-მცემელი იყო. თოთხმეტის წლის პატარძალს შეშინებია ნასვამის ქმრისა და მშობლებთან გაქცეულა. მას შემდეგ ცოლ-ქმარნი თუმცა ცალკ-ცალკე ცხოვრობდნენ, მაინც კიდევ სამეფო გვარეულობა ყოველ წლივ მატულობდა და დედოფალს ოთხი პრინცი ეყოლა. ეხლა მეფე პომარე მე-V ამ ყმაწვილებს პრინცებად არ აღიარებს, თუმცა კანონიერ ცოლს ეყუფნიან. მეფე პომარე მე-V-ის საქმე ვექილს გუპელს უკისრნია. დედოფალი-კი წასულა პარიჟში, რათა საქმეები თავის სასარგებლოდ გაირიგოს, და ვექილად ტეგსიე დაუჭერია. დედოფალს რამდენიმე საბუთი წარუდგენია თავის ვექილისათვის მეფის უკანონო და ქორწინების დამარღვეველ საქციელისა. მეფე ხალხსაც-კი არ ერიდებოდა ამ გვარ საქციელის ჩადენის დროს, ოღონდ-კი ჩემთან განქორწინებულიყოო.

**

რა-კი მეფეზე ჩამოვარდა ბაასი, ნურც ისპანიის პატარა მეფეს ვაწყენინებთ და იმაზედაც ორიოდე სიტყვა მოვუთხრათ ჩვენს მკითხველებს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ისპანიის წლისა თუ წლი-ნახევრის მეფე ეხლავე ეტანება.., დაშნასა. ერთს დღეს დედოფალმა ისპანიისამ ოფიციალურად მიიღო თურმე სამხედრო წოდების წარჩინებულნი კაცნი; ამ ამბავს დაესწრო პატარა მეფეც, რომელიც ძიძას ეჭირა ხელში. ერთი გენერალთაგანი მივიდა ყმაწვილთან, მიუალერსა და გასართობად ხელში დაშნის ოქროს ტარი მისცა. მომავალ ისპანიის მეფეს ისე მოეწონა თურმე ეს „სათამაშო და ტიკინი“, რომ უკან აღარ ანებებდა დაშნას; დედოფალმა როცა ბრძანება გასცა და ძალით გამოართვეს ხელიდგან ყმაწვილს დაშნა, ისეთი ღრიანცელი ასტეხა თურმე, რომ სადღესასწაულო კრება რამდენსამე ხანს შეაყენეს, ვიდრე პაწაწა მეფეს სხვა სათამაშოთი გულს მოუგებდნენ და თვალებზე ცრემლებს შეუშრობდნენ.

დეპეშა

22 აგვისტო

სტამბოლი. მართლდება ის ამბავი, რომ ოსმალეთმა წინადადება მისცა გერმანიას, შუამავლობა იტვირთე და მოარიგე დიდნი სახელმწიფონი ბოლგარიის საქმის გამოვო.

ბრიუსსელი. გაზეთი „Nord“-ი ამბობს, რომ ჯერ ლაპარაკიც არა ყოფილა რუსეთის გენერალის გაგზავნის თაობაზე ბოლგარიაშიო. ეს ამბავი მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ოსმალეთი აღადგენს იქ კანონიერს წესიერებასაო.

ბომბეი. როგორც ქაბულიდამ იწერებიან, 9 აგვისტოს ზიულფაგარის ახლო თოფის სროლა ასტყდა ჰერათელთა და რუსთა შორისო.

ბერლინი. იმპერატორი კენიგსბერგს არ წავა ჯართა ვარჯიშობის საცქერლადაო.

24 აგვისტო

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის ამხანაგის 19 აგვისტოს ცირკულიარის თანახმად შესაძლებელი იქმნა, რომ შინაგან მომგებიან ბილეთების კუპონებზე სარგებელი გარდაიხადონ სამაზრო ხაზინებმა იმ ქალაქებში, სადაც სახელმწიფო ბანკის განყოფილებანი და კონტორები არ არსებობენ.

ოდესა. ნიკოლაევიდგან აქ მოსული დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე გუშინ საღამოს წაბრძანდა სამზღვარ-გარედ.

ჩარჯუი. აქ მოვიდნენ კამერგერი ნეჩაევ-მალცევი და დემიდოვი, თავადი სან-დონატო. მალცევი ათვალიერებს ბამბის პლანტაციებს და ადგილს ეძებს სამარყანდის რკინის გზის ლიანდაგის ახლო, რათა გაჰმართოს პირველად ჩვენში ჩითეულობისა და ბამბეულობის დიდი ფაბრიკა, რომელიც ადგილობრივს ბამბას ახმარებს.

სოფია. დიდის საერო კრებისათვის დეპუტატების არჩევანი 27-ს სექტემბრისათვის არის დანიშნული; ამასთან გადაწყვეტილ იქმნა, რომ შიშიანობის წესნი გაუქმებულ იქმნენ მომავალს ხუთშაბათს, 27 აგვისტოს.

სტამბოლი. საფრანგეთის ელჩმა დათხოვნის ნება აიღო და წავიდა.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479
წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

აგვისტო 31 დღით არის.

25 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. ბართლომესი და ტიტესი. კათოლ. წმ. ლუდოვიკისა და ალმასი. სომეხ. იოაკიმისა და ანნასი, წმ. ღვთის-მშობლის მშობელთა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა. აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—27; მთვარე 19 დღისაა.

26 დღე ოთხშაბათი. წმ. ანდრიანესი და ნატალიასი. კათოლ. ვიქტორისა და ალექსანდრასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—31, ჩადის 6—25; მთვარე 20 დღისაა.

27 დღე ხუთშაბათი. ღირსისა პიმენ დიდისა. კათოლ. ცეზარისა და იულიასი. სომეხ. წმ. იერემია წინასწარ.-მეტყ. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—32, ჩადის 6—23; მთვარე 21 დღისაა.

28 დღე პარასკევი. ღირსისა მოსესი; წმ. მოწ. ქართველთა დედოფლისა შუშანიკასი, სომეხთ მთავრის წმ. დიდის ვარდან მამიკონიანის ასულისა. კათოლ. ავგუსტინასი და ჰერმეტისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57 ტფილისში მზე ამოდის 5—33, ჩადის 6—21; მთვარე 22 დღისაა.

29 დღე შაბათი. თავის-კვეთა წმ. წინა-მორბედისა და ნათლის-მცემლისა იოანნესი. კათოლ. თავის-კვეთა წმ. იოანნესი. სომეხ. წმ. მოციქ. თომასი, იაკობისა და სვიმეონისა. ნახატონაქი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—34, ჩადის 6—19; მთვარე 23 დღისაა.

30 დღე კვირა. წმ. ალექსანდრესი, იოანნესი და პავლესი. კათოლ. ფელიქსესი და როზასი. სომეხ. წმ. ღვთის-მშობლის სარტყლის პოვნა. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-24 დღე თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა. სახელ-წოდება მისის უდიდებულესობის იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—35, ჩადის 6—17; მთვარე 24 დღისაა.

31 დღე ორშაბათი. წმ. ღვთის-მშობლის სარტყლის პოვნა. კათოლ. რაიმუნდისა და რუფინისა. სომეხ. წმ. სტეფანე ულნელ., გოაჩინისა და სხ. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა ზილ-ჰაჯისა, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 6—36, ჩადის 6—15; მთვარე 25 დღისაა.

კერძო განცხადებანი

ქართული წერის დედანი

ვ. გაბიჩვაძისა,

გამოცემული ი. მურადოვისაგან,

ისყიდება ქ. ქუთაისში, გამომცემლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.

ვინც 30 ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს, ეგზემპლიარი 20 კაპ. დაეთმობა.

იქვე ისყიდება დედანთან სახმარებელი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი რვეულებიც. (10—6)

ისყიდება

დუშეთის მაზრის სოფელს მჭადიჯვარში: ძველი ღვინო, ხორბალი, ქერი, თივა, ბზე და ღორი. (10—7)

Дозв. цен. Тиф. 24 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე